2 726/8492

ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 7 (312) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის აპრილი



ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა და სიხარული! გივი კიკვაძის ფოტო.

ქაქაკი გეწაძე

საბავშვო ქართული სიმღერისა

მძინარე ცა იღვიძებს
მზის სხივების წყალობით.
— „ლილე“, ძმებო!
დილის მზეს
შევხვდეთ ტკბილი გალობით!
სიყვარულით, ფერებით
ლივლივებენ ფერები.
ამ ცასავით ძველია
ქართული სიმღერები.
ცას უჭირავს ნამგალი,
გზას მისდევენ ქალები.
— შენი ეშხით დამთვრალი
ღვინოს დავეძალები.
მზეში იწვის ცისკარი,
დილა — იავარდული.
სიყვარულის ხნის არი
სიმღერები ქართული.
ველი დილის ნისლში წევს,
დასდებია ზღვისფერი.
ველზე ყანა იღვიძებს
„ოდოიას“ სიმღერით.
გზებს აღვიძებს მგზავრული,
გზები მგზავრებს ელიან...
სიმღერები ქართული
მიწასავით ძველია.
გვესეოდა მტვრისფერი
მტერი მტვერზე ულევი.
მზეს ვეძებდით სიმღერით
ომში დაცემულებიც...
ქართული მზის ჩაქრობას
როგორ დავიჯერებდით.
მზიან ცრემლის ხნის არი
ქართული სიმღერები.
მომხდურს თვალებს უვსებდა
ჩვენი ვაზის ნაცარი.
ვაზის ჩუქურთმიანი
ზეიმობდა ტაძარი.
ვაზი მაინც ვაზობდა,
ბუბუნებდნენ ქვევრები...
ღვინის ღმერთის ხნის არი
ქართული სიმღერები.
მიწა იღებს სხვა იერს
მზის ღიმილით გამთბარი.
მღერის „მრავალჟამიერს“
დღეს მზიანი მთა-ბარი.
წინ დღეები გველიან
სავსე ბედნიერებით.
სიცოცხლისებრ ძველია
ქართული სიმღერები.
ცა მძინარე იღვიძებს
მზის სხივების წყალობით.
— „ლილე“, ძმებო!
დილის მზეს
შევხვდეთ ტკბილი გალობით!

ჯანმრთელობის დაცვის დღე

ჯანმრთელობა შინ იწყება

1948 წელს შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელმაც გადაწყვიტა 7 აპრილიდან ყოველწლიურად აღენიშნულიყო „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე“. წლეულს ეს დღე გაიმართა ლოზუნგით — „ჯანმრთელობა შინ იწყება“.

ჯანმრთელობა შინ იწყება... რას ნიშნავს ეს?

ხალხში ამბობენ, ჯანმრთელ მშობლებს შვილებიც ჯანმრთელი ეზრდებათო, მედიცინისათვის კი კარგად არის ცნობილი, რომ ჯანსაღი ბავშვის განვითარება და კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული დედის ორგანიზმის მდგომარეობაზე. ამიტომ ჩვენს სახელმწიფოში ბავშვზე ზრუნვა იწყება ძალზე ადრე, ჯერ კიდევ მის დაბადებამდე — ფეხმძიმე ქალს ათავისუფლებენ მძიმე სამუშაოსაგან, აძლევენ ხანგრძლივ შვებულებას მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ. ქალს უფასოდ ემსახურებიან ქალთა კონსულტაციები და სამშობიარო დაწესებულებების ფართო ქსელი.

სამშობიაროდან ჩვილის შინ მიყვანისთანავე მას აკითხავენ უბნის ექიმი და მედიცინის და, რომლებიც ზრუნავენ ბავშვის ჯანმრთელობაზე, ეხმარებიან დედას ახალშობილის მოვლა-პატრონობაში. მართალია, ახალგაზრდა დედები ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე იღებენ რჩევას ექიმისაგან, მაგრამ პედიატრი მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება. მისი ხშირი სტუმრობა ოჯახში რწმენას მატებს მშობლებს და ექიმს ოჯახთან აახლოებს, აშინაურებს.

ექიმი... რა შეიძლება იყოს ამ პროფესიაზე ჰუმანური, უფრო ადამიანური? როგორ შეიძლება არ გვიყვარდეს, არ დავფასოთ ადამიანი, რომელიც თავისი უძილო ღამეებისა და დაძაბული დღეების საფასურად სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, ზოგჯერ შეუძლებელსაც კი აღწევს. ექიმი... როგორ შეიძლება დაივიწყოს დედამ ექიმი, რომელმაც ხელი შეუწყო მისი ბავშვის ჯანმრთელობას, მადლი და ცოდნა არ დაიშურა, უველაფერი გააკეთა ავადმყოფობის დროს მის საკეთილდღეოდ.

ჩვენი ქვეყნის სკოლამდელ დაწესებულებებში 9 მილიონზე მეტი ნორჩი დადის. აქ უველაფერი ზუსტ მეცნიერულ საფუძველზეა გადაწყვეტილი — კვება, თამაში, დასვენება. აქ უნერგავენ პატარებს ჰიგიენურ ჩვევებს. აქ ასწავლიან როგორ ჭამონ, როგორ ელაპარაკონ უფროსს, როგორ მოიქცნენ. ოჯახში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს აღზრდის ჩვევები, არ უნდა შევაჩვიოთ ბავშვი სინაზეს, არ ჩავფუთნოთ, თბილი წყლით არ დავბანოთ პირი, დავაძინოთ ღია სარკმლიან ოთახში, გავუკაჟოთ სხეული.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აღზრდაში თამაშსაც — მოძრავი თამაშები თუ სერიოზული გართობა — ხატვა, ძერწვა, მუსიკა — პატარას ზრდის როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, ზრდის უოველმხრივ განვითარებულ, სხეულითა და სულით ძლიერ ადამიანად.

ჩვენში წლითიწლობით იზრდება ასიგნობანი ჩვილ ბავშვთა უფასო კვებისათვის, იზრდება სარძეო სამზარეულოთა ქსელი. კვების მრეწველობა პატარებისათვის უშვებს უფრო და უფრო მეტ რძის პროდუქტს. გვაქვს უფასო კვება მოსწავლეებისათვისაც. ნორჩების განკარგულებაშია გამაჯანსაღებელი ბანაკები და სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები. მრავალშვილიანი ოჯახები პირველ რიგში კმაყოფილდებიან საცხოვრებელი ფართობით. რესპუბლიკაში 38 სამშობიარო სახლია და 46 სამეანო განყოფილება. საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას 18,4 ათასამდე ექიმი და 42 ათასზე მეტი საშუალო სამედიცინო განათლების მქონე პერსონალი ემსახურება. ჯანმრთელობის საქმეზე მიმდინარე 1973 წელს გამოყოფილია 192 მლნ. 291 ათას 800 მანეთი. რესპუბლიკის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში 130 ათასამდე ბავშვია გაერთიანებული.

ბავშვებზე ზრუნვას — დიდი ლენინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ანდერძს — წმინდად იცავენ ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ გავზარდოთ ძლიერი, ჯანმრთელი, უოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდა თაობა, ჩვენი სოზოგადოების სიამაყე და ბედნიერება.

ლია ჩიქოვანი

ქართული პოეზიის საღამოები

მოსკოვში, კავშირების სვეტებიან დარბაზში დიდებული, საზეიმო განწყობილება სუფევდა. „ქართული პოეზიის საღამო“, რომელიც აქ გაიმართა, ერთგვარი ანგარიში იყო ქართული პოეტური სიტყვისა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე.

საღამო საბჭოთა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის **გრიგოლ აბაშიძის** სიტყვის შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთი შეცვალეს ქართველმა და რუსმა პოეტებმა. ახალი ლექსები წაიკითხეს **იოსებ ნონეშვილმა, მორის ფოცხიშვილმა, მიხეილ ქვლივიძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა.** რუსმა პოეტებმა — **ნიკოლოზ ტიხონოვმა, კონსტანტინე სიმონოვმა, მიხეილ ლუკონინმა, ევგენი ევტუშენკომ, მარკ მაქსიმოვმა, არსენი ტარკოვსკიმ, სტანისლავ კუნიაევმა, ალექსანდრე მეჟიროვმა** და სხვებმა — წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსების საკუთარი თარგმანები. **ვლადიმერ სოლოუხინმა** დამსწრეთ გააცნო საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსი.

„ქართული პოეზიის საღამოები“ მოსკოვში რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ყველგან, სადაც კი სტუმრად იყვნენ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები — საკავშირო მწერალთა კავშირში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, ფაბრიკა-ქარხნებში თუ საწარმო-დაწესებულებებში — ყველგან გულითადობა, სიხარული, სიყვარული ხვდებოდათ მასპინძლად. პოეტებთან ერთად „საღამოებში“ დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების დესპანებიც — ანსამბლები **„რუსთავი“** და **„სალხინო“**, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ლამარა ჭყონია,** თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი **ჯემალ მდივანი,** რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ვენერა მაისურაძე,** პიანისტი **ლალი მიქავა,** მევიოლინე **ნანა იაშვილი, ომარ კელაპტრიშვილი,** რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, კონცერტმაისტერი **ვაჟა ჩაჩავა,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ივანე რუსინოვი.**

საკავშირო პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართული ლექსის დღესასწაულს. რუბრიკით „ქართული ლირიკა“ — „პრავდამ“ რუს მკითხველს გააცნო გრიგოლ აბაშიძის „სამშობლო“, კარლო კალაძის „გაზაფხული დაუგავაზე“, მაყვალა მრევლიშვილის „უკრაინელ მეგობრებს“. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა გრიგოლ აბაშიძის წერილი, ირაკლი აბაშიძის, ხუტა ბერულავას, კარლო კალაძის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ოთარ ჭელიძის პოეტური ქმნილებები, რომელთა თარგმანები ეკუთვნით ცნობილ რუს პოეტებს.

— რას გვეტყვით „ქართული პოეზიის საღამოებზე?“ — ვკითხეთ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს **გრიგოლ აბაშიძეს.**

— გააცნო ქართული პოეზია მრავალმილიონიან საბჭოთა მკითხველს — დიდი დაფასებაა ჩვენთვის, — გვიპასუხა მან, — ქართული პოეზია თავისი არსებობის ათ საუკუნეზე მეტს ითვლის — მე მხედველობაში მაქვს ის ძეგლები, წერილობით რომ მოგვეპოვება. და მთელი ამ ხნის მანძილზე ქართული პოეზია ვითარდებოდა, იზრდებოდა, იძენდა მდიდარ ტრადიციებს.

შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეზია, პოეზია საბჭოთა საქართველოსი, რომელიც სათავეს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან იღებს, დღეს დიდ როლს ასრულებს ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ესოდენ მდიდარი და უძველესი პოეზია, ოქტომბრის რევოლუციამდე, მცირედი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ მათთვის იყო ხელმისაწვდომი, ვინც ქართულად მეტყველებდა. და თუ დღეს ქართულმა პოეზიამ ჭეშმარიტად მსოფლიო ღირებულება მიიღო, ეს უპირველესად შესანიშნავი რუსი და სხვა მოძმე ხალხების გამოჩენილ პოეტთა ღვაწლია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშების თარგმნის საქმეში.

ქართველ პოეტთა რიგებში მეგობრულად იღვწიან ჩვენი უხუცესი პოეტები, სანდრო შანშიაშვილი, კოლაუ ნადირაძე და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც. დღეს, როცა ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შრომისა და შემოქმედების განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები ერთგულად იხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას და ქმნიან ჩვენი თანამედროვე ცხოვრების შესაფერის ახალ ნაწარმოებებს.

— მოსკოვში გამართულმა ამ საღამოებმა, — გვითხრა დასასრულ გრიგოლ აბაშიძემ, — კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რა დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ხალხები ჩვენი კულტურის, მწერლობის, ხელოვნების მიმართ. ეს დღეები სიკეთის, მეგობრობის, სიყვარულის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გახლდათ.



ჩაის ფესვი

უკვე რამდენიმე წელიწადია ყოველ გაზაფხულს საქართველოში ზეიმით აღნიშნავენ ქართული ჩაის კვირეულს. წლეულსაც ჩაის დღესასწაული დაიწყო 26 მარტს და გაგრძელდა 1 აპრილამდე. ჩაის დღეები იზეიმეს რესპუბლიკის ყველა ქალაქში. ჩვენი დედაქალაქის მშრომელებს მასპინძლობა გაუწია კვების მრეწველობის 26 ობიექტმა, ხოლო 12 მაღაზიაში მოეწყო მრავალფეროვანი ასორტიმენტით ჩაისა და მისი შესაფერისი ჭურჭლის გამოფენა-გაყიდვა. რუსთავში მომხმარებლებს მოემსახურა საზოგადოებრივი კვების 10 ობიექტი და 7 საცალო ვაჭრობის მაღაზია. სამრეწველო ქალაქებში ჩაის კვირეული გაიმართა შახტებთან მდებარე სასადილოებში, აგრეთვე საწარმოთა და სტუდენტთა სასადილოებში.

დღესასწაულის ცენტრი, როგორც ყოველთვის, თბილისის ჩაის სახლი იყო. კვირეულის გახსნის პირველ დღესვე ჩაის სახლს ეწვივნენ დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები. სტუმრები გაეცვნენ ქართული ჩაის განვითარების ისტორიას, მისი წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიასა და სიახლეებს. შემდეგ კი იგემეს მწვანე და შავი ჩაისაგან დაყენებული სურნელოვანი სასმელი.

დღესასწაული გაგრძელდა რესტორნებში: „საქართველო“, „მოსკოვსა“ და „არაგვში“, კაფეებში — „ცისკარში“, „ნარგიზში“, „მეტროში“, საჩაიე „სინათლეში“ და მრავალ სხვა სასადილოში.

ჩაის კვირეულის დასკვნითი ზეიმი გაიმართა პირველ აპრილს. თბილისელები და ჩვენი ქალაქის სტუმრები ზეიმზე შეხვდნენ ლიტერატორებს, ხელოვნების მოღვაწეებს, ჟურნალისტებს, მოწინავე მუშებს, მინდვრის მშრომელებს. ჭიქა ჩაიზე მათ მოუსმინეს მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს, სახელოვან ადამიანებს, ახალგაზრდა პოეტებმა წაიკითხეს ლექსები.

დასკვნით საღამოზე კონკურსში გამარჯვებულთ, ვინც თავი ისახელეს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში, გადაეცათ გარდამავალი პრიზები და ჯილდოები.

ჯრემიების გადაცემა

როგორც ჩვენი გაზეთის წლევანდელ პირველ ნომერში ვიუწყებოდით, საბჭოთა მწერლების, პოეტების, ჟურნალისტების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ერთ ჯგუფს მიენიჭა **ჯავაჰარლალ ნერუს** სახელობის პრემია. ეს პრემია დააწესა ინდოეთის მთავრობამ საბჭოთა მოქალაქეებისათვის. იგი ენიჭებათ ყოველწლიურად ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას.

დაჯილდოებულთა შორის არიან პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე** და კომპოზიტორი **შალვა მშველიძე.** ირაკლი აბაშიძემ პრემია მიიღო ლექსების კრებულისათვის „განგის ნაპირებზე“ და ინდურ თემებზე დაწერილი სხვა ნაწარმოებებისათვის, შალვა მშველიძემ კი „ინდური სუიტისა“ და ინდოეთის მუსიკალურ ფოლკლორზე ნარკვევების სერიისათვის.

მარტის ბოლოს მოსკოვში გაიმართა ჯილდოების გადაცემა. ჯილდოები გადასცა საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა ეკატერინე ფურცევამ.

ჯავაჰარლალ ნერუს პრემიის ლაურეატებს მიესალმა ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კ. შელვანკარი.

რობერტ ბერნსის ნაწარმოებთა გამოცემა

გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრამ მოაწყო გამოჩენილი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსების ქართული თარგმანების განხილვა.

თარგმანები საფუძვლიანად გაარჩიეს კათედრის გამგემ დოცენტმა ოთარ ჩხეიძემ, ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებლებმა მერი მუმლაძემ, ინესა მერაბიშვილმა, ლიანა ბახტაძემ, სტუდენტმა მირიან იორამაშვილმა.

მთარგმნელმა თამარ ერისთავმა ილაპარაკა რობერტ ბერნსის პოეზიის პოპულარობაზე ყველა ქვეყანაში, პასუხი გასცა შეკითხვებს და წაიკითხა ახალი თარგმანები.

ჩვენი სტუმრები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზები აპრილის თვეში მრავალ უცხოელ ხელოვნების ოსტატს უმასპინძლებს. ესტრადის მოყვარულებმა მოუსმინეს ბულგარული ესტრადის სოლისტებს ბოგდანა კარაღოჩევასა და ემილ დიმიტროვს; ფრანგულ ტრიოს — „სამი მენესტრელა“. მალე გვეწვევა პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ჩერვონა რუტა“. სიმფონიური მუსიკის თაყვანისმცემლების წინაშე წარსდგება ამერიკელი დირიჟორი კურცი. გვეესტუმრება იაპონელი გიტარისტი — ივაო სუძუკი.

მცირე საკონცერტო დარბაზში კი კლასიკური მუსიკის მოყვარულნი შეხვდებიან საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებსა და მრავალ სხვა უცხოელ ხელოვანს.

გაშკირულ ენაზე

„მიხარია, რომ არსებობს ესეთი მშვენიერი სალხი — ქართველები. მე ბევრი რამ მშურს მათი“ — წერდა რამდენიმე წლის წინათ ცნობილი ბაშკირი მწერალი და ჟურნალისტი რამილ ხაკიმოვი თავის შესანიშნავ წიგნში — „ათი სადღეგრძელო და ათივე საქართველოზე“, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ ქართულ ენაზე გამოსცა და რომელშიც ავტორი უმდერის ჩვენს რესპუბლიკას, მის სილამაზეს, შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებს, საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს და ნათელ დღევანდელობას.

ბაშკირი მწერლის ინტერესი და სიყვარული საქართველოსადმი ამით არ ამოწურულა. ბაშკირეთის მწერალთა კავშირის ჟურნალ „ადიგელის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მან გამოაქვეყნა ნარკვევი — „რთველი“. ეს არის ნაწყვეტი ახალი წიგნიდან საქართველოზე. იმედია, ქართველი მკითხველი ბაშკირი მეგობრის ამ წიგნსაც ღირსეულად დააფასებს.

ჟურნალ „ადიგელის“ ამავე ნომერში რუბრიკით — „საბჭოთა საქართველოს პოეზია“ — გამოქვეყნებულია ქართული პოეზიის ნიმუშები. ბაშკირი მკითხველი გაეცნობა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, მწერალი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, რევაზ მარგიანის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ჯაფარიძისა და კარლო ბობოხიძის საუკეთესო ქმნილებებს.

„მინდია“ მოგზაურობს

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, რომელიც წარმატებით იდგმება თბილისის საოპერო სცენაზე, მოსკოველ მაყურებელს საკონცერტო შესრულებით აქვს მოსმენილი. „მინდია“ წარმატებით დადგა ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმაც. ამას წინათ კი „მინდიას“ პრემიერა გაიმართა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში.

პრემიერის წინ ქალაქში გამოიკრა ლამაზი ფერადი აფიშები, გამოიცა დასურათებული ბუკლეტი, რომელმაც ბელორუს მსმენელს გააცნო ქართველი კომპოზიტორის ბიოგრაფია და ოპერის შექმნის ისტორია. ოთარ თაქთაქიშვილისა და მინსკელ მუსიკის მოყვარულებს მოულოდნელი სიხარული მოუტანა ოპერის სოლისტთა კამერულმა კონცერტმა, რომელიც პრემიერის წინადღეებში გაიმართა. ამ კონცერტის პროგრამაში იყო ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

ოპერის დადგმაში მონაწილეობდნენ ხელოვნების ჭართველი მოღვაწენიც — მხატვარი მამია მალაზონია და საქართველოს დამსახურებული არტისტი, ბალეტმაისტერი მურმან ლომთათიძე.

აი რას წერდა ერთ-ერთი ბელორუსული გაზეთი ამ დადგმის შესახებ:


— „წარმოდგენა დამთავრდა. შეწყდა საბოლოო მელოდია, რომელმაც ადამიანებისა და ბუნების მეგობრობას, ამქვეყნად მშვიდობას უმღერა. ბელორუსიის სცენაზე დაიბადა რომანტიკული სპექტაკლი-ბალადა, რომელიც ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეებს განამტკიცებს. და გვჯერა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის ხანგრძლივი სცენური სიცოცხლისა, რადგან მასში აყვლერებული იდეები ერთნაირად იტაცებთ მსმენელსაც და მაყურებელსაც“.

აი კიდევ ამონაწერი ერთი რეცენზიიდან:

— „მშვენიერი არჩევანი მოუხდენია თეატრს. საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „მინდია“ ღირსია შემოქმედებითი შრომისა. იდეურ-ესთეტიკური კონცეფციების დიდმა მნიშვნელობამ, მუსიკის მკაცრმა, ამაღლებულმა სილამაზემ დამსახურებულად მოუტანა ოპერას ფართო აღიარება საქართველოშიც და მთელ ჩვენს ქვეყანაშიც... დღეს, როცა უკვე დავესწარით „მინდიას“ ბელორუსულ პრემიერას, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წარმოდგენამ გაიმარჯვა. მისი პირველი და უმთავრესი ღირსება მაღალი მუსიკალური კულტურაა“.

„მუსიკა, რომელიც გადმოსცემს ძველ ქართულ ლეგენდას, აღსავსეა რომანტიკით. მელოდია გვიხატავს მინდიას, ჩალხიასა და მზიას ნათელ სახეებს. მთელი რომანტიზმით ღელავს კონფლიქტი პატრიოტულ-პუმანურ იდეალსა და სისხლის აღების ამაზრზენ ზნე-ჩვეულებას შორის. კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი ამ ოპერაში ოსტატურად იყენებს ხალხურ მელოდიას, მკაფიო საორკესტრო საშუალებებით გადმოსცემს მთელ მის სილამაზეს“.

შეიძლება კიდევ მრავალი ნაწყვეტის მოყვანა რეცენზიებიდან, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ ქართველი კომპოზიტორის შესანიშნავ ქმნილებას. მაგრამ მთავარი ერთია — წარმოდგენა, რომელიც ბელორუს და ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი თანამეგობრობით დაიბადა, მომავალი კეთილი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების საწინდარია.



ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

თბილისში, გმირთა მოედანთან ახლოს ეკლარის ქვით მოპირკეთებული უნიკალური შენობა. აქ მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. იგი 1941 წელს დაარსდა, მაგრამ ბიბლიოთეკას უკვე კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამჟამად მას 12.500 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს და მის მკითხველს 170 თანამშრომელი ემსახურება.

ჩვენი კორესპონდენტი **მიხეილ მამულაშვილი** ეწვია ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს **სიმონ ხადურს** და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენსამე კითხვაზე.

— რას გვეტყვით თქვენი ბიბლიოთეკის მუშაობაზე?

— ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს აკადემიის სისტემაში შემავალი 43 კვლევითი დაწესებულების ბიბლიოთეკებს. ამჟამად ჩვენთან და აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში თავმოყრილია ოთხნახევარ მილიონზე მეტი წიგნი და ჟურნალი. აქ დაცულია არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული წიგნები, არამედ გერმანული, ესპანური, ინგლისური, იტალიური, ფრანგული და სხვა ლიტერატურა, დაწყებული XVI საუკუნით და დამთავრებული უახლესი გამოცემებით. აქ არის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის, პროფესორ მიხეილ პოლიევქტოვის, შალვა და ვახტანგ ასლანიშვილების პირადი ბიბლიოთეკები, ჩვენთან შემოდის იოსებ გრიშაშვილის უშესანიშნავესი ბიბლიოთეკა. დიდია მისი (65.000 ბეჭდვითი ერთეული) მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მასში ინახება მრავალი ისეთი გამოცემა, რომელიც მხოლოდ აქ არის და ჩვენი სასიქადულო პოეტის ზრუნვით გადარჩა.

— თუ შეიცადეთ მიგეღოთ უცხოეთში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფილმები?

— ფასდაუდებელია მნიშვნელობა ძველი ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც უცხოეთში, ძველ ქართულ კულტურულ ცენტრებში — სინას მთაზე, იერუსალიმში და ათონზეა დაცული. მათგან მიკროფილმები გადაიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკამ და ჩვენი მეცადინეობით ისინი მივიღეთ. ამრიგად, ქართული მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ადრე მხოლოდ კატალოგებით ცნობილი, ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლი. აქ აღმოჩნდა „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია, რომლის შესწავლამ ხელი შეუწყო მეცნიერებაში მრავალი სადავო საკითხის გარკვევას. მიკროფილმების ფონდშია 913 წელს გადაწერილი ოპიზის სახარების პირიც.

აკადემიკოს აკაკი შანიძის კონსულტაციით კორაისის სახელობის ბიბლიოთეკიდან (საბერძნეთი) გამოვიწერეთ „პეტრიწონის წესდების“ ორი ხელნაწერის ფოტოპირი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკიდან მივიღეთ მარჯორი უორდროპის არქივში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერის — ე. წ. თარხან-მოურავისეული (XVII ს.) და მზეხათუნისეული (XVIII ს.) ნუსხების მიკროფილმები. ისინი შესულია იმ ძირითად ხელნაწერთა რიცხვში, რომელთა მიხედვითაც ხდება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენა.

შეუძლებელია უცხოეთში დაცული ყველა წერილობითი ძეგლის ჩამოთვლა, რომლებიც მრავალი სიძნელის მიუხედავად ხელმისაწვდომი გავხადეთ ჩვენი მეცნიერებისათვის, რითაც არაერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი პრობლემა სრულიად ახლებურად გადაწყდა, გაირკვა თუ დადგინდა.

ყოველწლიურად ვიღებთ 80-85 ათას წიგნსა და ჟურნალს, აქედან 18-20 ათასი უცხოური წიგნია. დანარჩენი სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ბეჭდვითი პროდუქციის სავალდებულო ცალებია.

წიგნთგაცვლის წესით ჩვენი აკადემიის ყველა გამოცემას ვგზავნით საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სამეცნიერო დაწესებულებაში. მჭიდრო კავშირი გვაქვს მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან.

— უცხოეთის რამდენ სამეცნიერო დაწესებულებასთან გაქვთ დამყარებული გაცვლითი ურთიერთობა?

— გაცვლითი ურთიერთობა დავამყარეთ უცხოეთის 60 ქვეყნის 1.082 დაწესებულებასთან. მათ შორის არის 50 მეცნიერებათა აკადემია, 120 უნივერსიტეტი, 255 ბიბლიოთეკა, 298 ინსტიტუტი და კოლეჯი, 45 მუზეუმი, 160 ობსერვატორია, 90 საზოგადოება, 64 სამეცნიერო დაწესებულება. ისინი იღებენ ჩვენი აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების გამოცემებს, რითაც უცხოეთის სამეცნიერო წრეები ეცნობიან ჩვენი მკვლევარების მიღწევებს, სანაცვლოდ მოგვდის უცხოეთის თანამედროვე სამეცნიერო გამოცემები.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებთან, რომლებსაც ვუგზავნით აკადემიისა და სხვა დაწესებულებების გამოცემებს. თავის მხრივ, არც ისინი გვაკლებენ ყურადღებას. აი რას გვწერს თავისი შესანიშნავი ქართულით გამოჩენილი ქართველოლოგი პანს ფოქტი:

„თქვენი წერილი მივიღე, სადაც გაძოსთქვით თქვენი სურვილი ბიბლიოთეკისათვის ჩემი ნაშრომები შეიძინოთ. დღესვე ჩემი სტატიების ამონაბეჭდები — ყოველ შემთხვევაში, რაც დამრჩა, — გამოგიგზავნეთ. ცალკე ამანათით ჩემს უბიჩურ ლექსიკონს გამოგიგზავნით და, როგორც კი გამოვა, ჩემს ქართული ენის გრამატიკასაც — ჩემი ძველი წიგნის მეორე, გადამუშავებული გამოცემაა. იმედია, ყველა წიგნი კარგად მოგივათ. დიდის პატივისცემით გულწრფელად თქვენი ჰანს ფოქტი“.

ბოლო წლებში საკმაოდ დიდი რაოდენობით გავუგზავნეთ საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და ენათმეცნიერების დარგში გამოსული წიგნები და ქართველ მწერალთა ნაშრომები ოქსფორდის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდების ბიბლიოთეკას, რომელიც 1965 წელს გაიხსნა და რომლითაც სარგებლობენ ქართული კულტურით დაინტერესებული პირები.—„მართლაც, დიდებული საჩუქარია. დიდად მადლობელი ვართ“, — გვწერს ამ ფონდის ხელმძღვანელი დოქტორი დავით ბარეტი.

— ვინ არიან თქვენი მკითხველები?

—ჩვენი მკითხველები არიან აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები, უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები, ასპირანტები, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები და უკანასკნელი კურსების სტუდენტები, ჰედაგოგები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები. დაინტერესებულ პირს შეგვიძლია გამოვუწეროთ წიგნი არა მარტო საბჭოთა კავშირის ნებისმიერი დაწესებულებიდან, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან...

„მერნის“ საგამოფენო დარბაზში

გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო სალონში გახსნილია საქართველოს დამსახურებული მხატვრის ლევან ცუცქირიძის პერსონალური გამოფენა.

მოვუსმინოთ გამოფენის დამთვალიერებლებს:

პარლო კალაძე, პოეტი, გამომცემლობა „მერნის“ დირექტორი: — ლევან ცუცქირიძის ნამუშევართა გამოფენა მეტად პრინციპულია, რადგან იყო თეორიები, თითქოს ქართულ მხატვრობას არ გააჩნდა ის ტრადიციები, რაც ქართულ მწერლობასა და მუსიკას აქვს. ეს გამოფენა გვარწმუნებს, რომ ქართულ მხატვრობასაც გააჩნია ესეთი ტრადიციები. ჩვენი ძველი ტაძრების ფრესკები მარტოოდენ ქრისტიანულ სულისკვეთებას როდი გამოხატავდნენ, მათზე ხშირად გამოსახული იყვნენ სახალხო გმირები, რომლებსაც ხალხი წმინდანებად თვლიდა, მათ სახეებს ფრესკებზე უნახავდა შთამომავლობას. ამიტომ ქართული ფრესკები უმთავრესად გამოხატავდნენ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას, სულიერ სიმაღლეს, მის მრწამსს. მხატვარი, რომელიც თავის გამოსავალ წერტილს ამ ფრესკებში მოძებნის, თავისი ხალხის სულიერ სიმაღლეს გადმოსცემს. ლევან ცუცქირიძის შემოქმედება მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ დღევანდელი მხატვრის მარჯვენა დაუკავშირდა ტრადიციას, დღევანდელულად, საკუთარი ხელწერით აითვისა იგი. ქართულ ფრესკებთან დაკავშირება, ვაჟას პოემების გმირების თავისებური, ერთგვარად იმპროვიზებული გამოხატვა ეროვნულიც არის და საკაცობრიოც.

ᲣᲩᲐ ᲮᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე:

— ლევან ცუცქირიძის ნამუშევრებიდან ბევრი რამ დღეს პირველად ვნახე და ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენად მდიდარია ჩვენი მხატვრობა, რომ ესეთი მრავალფეროვანი მხატვრები გვყავს. სასიხარულოა, რომ მას მოსდგამს ძველი ტრადიციის მადლი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲝᲗᲘᲒᲐᲫᲔ, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, სამხატვრო აკადემიის რექტორი:

— ლევან ცუცქირიძის ნამუშევრებს განსაკუთრებული განწყობილება, რომანტიკული იერი დაჰკრავს. ეს გამოფენაც ამას ადასტურებს.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი:

— ამ გამოფენაზე ერთად თავმოყრილი ნამუშევრებით მთელი სისრულით გამოჩნდა ლევან ცუცქირიძის სახე — მრავალფეროვანი, მოაზროვნე მხატვრის სახე. მისი შემოქმედება თავისი პოეტურობით ხიდია პოეზიის მეშვეობით პლასტიკური ხელოვნების სამყაროში შესასვლელად.

ᲙᲝᲑᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი:

— ლევან ცუცქირიძე მხატვართა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც მოვიდა, როგორც ლოგიკური გაგრძელება სახვითი ხელოვნების მუდამ სასურველი და აუცილებელი ჯაჭვისა. მოვიდა თავისი გამოკვეთილი ხელწერით, თავისი მეობით, მუდამდღე მძებნელი, სრულმყოფელი და დამზუსტებელი თავისი პიროვნული, მხატვრული თუ მოქალაქეობრივი „მე“-სი. ვერ ვიტყვით, რომ ლევან ცუცქირიძის შემოქმედების მხატვრულ-პოეტური სათავე მარტო ქართული ფრესკული ფერწერიდან მოდიოდეს. იგი ისევე ხარბად და ჭარბად შემრთველია ყველა იმ ნაკადისა, ქართული ხალხური, მარადიული და მდიდარი საუნჯეებიდან რომ მოედინება. არც კლასიკურ ევროპულ მდინარეთა წყალზე ამბობს უარს, რითაც თავის მხატვრულ ჰორიზონტს იფართოებს და ქართული სულის საცეცხლეში გამოჭედილ მხატვრულ, ცუცქირიძისეულ ფორმაში ამოძერწილ, მეობით გამოკვეთილ ფასეულობას გვთავაზობს.

ᲛᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი:

— ლევან ცუცქირიძემ ნახატი უმაღლესი კულტურის დონეზე აიყვანა. მან შექმნა და გამოიყენა ყველა ის პრინციპი, რომელიც აუცილებელია აკადემიზმისათვის და მოგვცა ახალი სტილის მხატვრული ნაწარმოებები. მას ახასიათებს ხატვის დიდი კულტურა და ოსტატობა, იგი მოაზროვნე მხატვარია.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, პროფესორი:

— ლევან ცუცქირიძის შემოქმედების შესახებ ყველაფრის უცებ თქმა არ შეიძლება. მან მრავალი წელიწადი გაატარა ძიებაში, რათა ეპოვა საკუთარი ხელწერა, შეექმნა საკუთარი გარემო. ყველაფერი ეს რომ მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ მისეული და განუმეორებელია, ამას მოწმობს ეს გამოფენაც, რომელიც საწინდარია აგრეთვე იმისა, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო მეტს შექმნის.

გაზეთი „სამშობლო“ თავის მხრივ მიესალმება ლევან ცუცქირიძეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.



ლევან ცუცქირიძის „ზვიადაური“

ხელოვნებამ არ



...საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას საარბრიუკენის ბურგომისტრმა ბატონმა ე. ჰასდენტიოფელმა თბილისისა და საარბრიუკენის დამეგობრების პერსპექტივის მისეული შეხედულების გადმოცემისას გაიხსენა, რომ დღესაც, „დაისის“ პრემიერის დღიდან ორი თვის თავზე, ბილეთის შოვნა წარმოდგენაზე ძნელდება, რის გამოც მას ხშირად აწუხებენ ნაცნობ-მეგობრები. ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელ ვითარებათა ცვლის სიჩქარე და მათი თვისობრივი სიახლე ჰქონდა მხედველობაში, ალბათ, საარის მხარის კულტურის მინისტრს, ვ. შერერს, როცა სიმბოლოების ენით მოლაპარაკე ფენომენს — ხელოვნებას — მიანდო პირველობა ახალი კონტაქტების დამყარებისას.

...პრემიერამდე ოცდაათი დღით ადრე თბილისის საოპერო თეატრის ორკესტრს, გუნდსა და სოლისტებს, რომლებმაც ორი თვის მომჭანცველი რეპეტიციების შემდეგ შეძლეს სანოტო კარკასზე „ლოენგრინისეული“ ულერადობა შემოეჭიმათ, სათავეში ჩაუდგა საარბრიუკენის საოპერო თეატრის გენერალური დირექტორი, რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი.

— ორჯერ დამიდგამს „ლოენგრინი“ ბაზელისა და ბარსელონის სცენებზე, სადაც მას დიდი წარმატება ხვდა. მესმის, რამდენად ძნელი შესასრულებელია ვაგნერი. აქ მთავარია არა მარტო განიმსჭვალო და მიჰყვე კომპოზიტორის სამყაროს, მის მუსიკას, სახეებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შემსრულებლებს გაუხსნა, შეაყვარო, მერე კი გამოახატინო ეს სამყარო. და ყოველივე ისე უნდა გადმოსცე, რომ გაიტაცო მაყურებელიც და მსმენელიც. ეს კი უდიდეს თავდადებას მოითხოვს. სწორედ ესე შეძლეს ქართველმა მსახიობებმა „დაისის“ დადგმა და შესრულება საარბრიუკენში. მინდა იმედი ვიქონიო, რომ თბილისური დადგმაც გაამართლებს ჩვენს მოლოდინს.

პრემიერის შემდეგ ჰერმან ვედეკინდი კიდევ ერთხელ დაეყრდნო მსოფლიოს მრავალ თეატრში მუშაობის გამოცდილებას და თქვა:

„უველაფერი, რაც იმ საღამოს ვნახეთ, შეგიძლიათ მთელ მსოფლიოში გაიტანოთ“.

...თბილისის ოპერის დარბაზში ჭაღები თანდათან ქრება... სიჩუმე ზიგფრიდ კიოლერის ხელის მოძრაობამ დაარღვია. სცენის ერთადერთ, ღია მოვერცხლისფრო ფონზე, რომლის საღებავები მხატვარ ვალტერ გონდოლფის თქმით, უხვად არის მიმოფანტული ჰოლანდიის საზღვართან, სადაც ოპერის მოქმედება მიმდინარეობს, ტევტონთა ემოციებით მოსაზრდოვე პატრიოტიზმისა და რელიგიური აღფრთოვანებით გამოწვეულ სახეთა ნაცვლად, რაც ტიპურია „ლოენგრინის“ მრავალი დადგმისათვის, ვიხილეთ რეალური, ალტერნატული მოტივებით გამსჭვალული ძლიერი ადამიანების შეჯახება, რომელთაც უნარი შესწევთ მწვავე კონფლიქტის დროს გამოსავალი არ ეძებონ კომპრომისში.

დრამას, რომელსაც მხოლოდ ლეგენდარულობა უშლის ხელს იყოს ჩვენი თანამედროვე, ინტერნაციონალური შემადგენლობა ასახიერებს: იუგოსლაველი მომღერალი დუშან პოპოვიჩი (ტელრამუნდი), გერმანელი ერიკა უფჰაგენი (ელზა). ქართველები ნოდარ ანდღულაძე (ლოენგრინი), ცისანა ტატიშვილი (ორტრუდა) და ირაკლი შუშანია (მეფე ჰაინრიხი).



ქართულმა პრესამ უკომენტაროდ აღნიშნა, რომ ტელრამუნდი და ორტრუდა იწვევენ მაკბეტისა და ლედი მაკბეტის ასოციაციას, რისი ფარული მიზეზი, ალბათ შექსპირის ტრაგედიის ატმოსფეროა.

დასავლეთ გერმანიაში ელზას პარტიის საუკეთესო შემსრულებელი ერიკა უფჰაგენი არ მალავს ნოდარ ანდღულაძის — წმინდა გრაალის თასის რაინდის — პარტნიორობით გამოწვეულ სიხარულს. ეს უკანასკნელი, სპექტაკლის ერთადერთი მონაწილეა, რომელიც „დაისის“ საარბრიუკენისეულ პრემიერაშიც მონაწილეობდა.

პრემიერის დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ ხელოვნებათმცოდნე მანანა ახმეტელი წერდა:

„დირიჟორი ზიგფრიდ კიოლერი თვით იქცა ამ წარმოდგენის ლეგენდარულ გმირად, რადგან შემოქმედებითი მეტამორფოზის განუმეორებელი წუთები განაცდევინა ჩვენი საოპერო თეატრის ორკესტრს, გუნდსა და სოლისტებს, სულიერი სიახლოვის ხიდი გასდო ვაგნერის ქმნილებასა და ქართველ მსმენელებს შორის“.

მაესტრო თავის მხრივ კი თვლის, რომ „ქართველ მომღერლებთან მუშაობა არა მარტო იმიტომ არის სასიამოვნო, რომ ისინი ნიჭიერნი არიან, არამედ იმიტომაც, რომ გრძნობს მათ ნამდვილ გატაცებას ვაგნერის მუსიკით, შემოქმედებითს წვას, რაც ესოდენ აუცილებელია სიძნელეთა დასაძლევად“.

...ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან ისინიც, ვინც წეღან შემოქმედებით ბრძოლაში იყო ჩაბმული... უვავილებში გზას მიიკვლევენ ჰერმან ვედეკინდი და ზიგფრიდ კიოლერი, სცენაზე დოქით და ორი ყანწით ხელში ამორბის ორკესტრის მუსიკოსი... იგი ქართულ ენაზე ადღეგრძელებს მაესტროსა და რეჟისორს, ისინი გერმანულად უპასუხებენ, ჰკოცნიან... სანამ მოქანცული თარჯიმანი შემოაღწევდეს სცენაზე, საუბრობენ ენაზე, რომლითაც ისინი მაყურებელს და მაყურებელი მათ უკანასკნელი სამი საათის განმავლობაში მიმართავდნენ... სწორედ ამ ენაზე გადაწყდა, რომ მოხდება გაცვლა სხვა ნაწარმოებებისაც, მათ შორის აუცილებლად მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტისა“ და ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერისა“. მეორე დღეს კი, უკვე თარჯიმნის დახმარებით მხოლოდ გაიხსენეს ამის შესახებ...

სიხარულს იწვევს რიჰარდ ვაგნერის შვილიშვილის ვოლფგანგ ვაგნერის მოსალოცი წერილი ბაიროითიდან. მან იცის თურმე, რომ პირველად თბილისში 1891 წელს დაუდგამთ „ლოენგრინი“.

არც 1978 წელს იქნება უკანასკნელი, ხელოვნება დროსა და საზღვრებს არ ემორჩილება.

გია კუპრავა.

„ლოენგრინი“ თბილისის სცენაზე

დიდი გერმანელი კომპოზიტორის რიჰარდ ვაგნერის შესანიშნავი ოპერის „ლოენგრინის“ პრემიერას, რომელიც გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 23 მარტს, მსოფლიოს გარდა, სხვა მიზეზებიც უძღოდა წინ. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ამას წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენის საოპერო მუსიკის მოყვარულებმა მოისმინეს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ და დიდად მოიწონეს. ორივე მოვლენა კი უფრო დიდი კონტაქტის — საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კულტურულ გაცვლა-გამოცვლათა გეგმის ერთ-ერთი რგოლია.







სურათებზე: ზევიდან — საარბრიუკენის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი, პროფესორი ზიგფრიდ კიოლერი. „ლოენგრინი“ თბილისის სცენაზე. საარბრიუკენის საოპერო თეატრის გენერალური დირექტორი, მთავარი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

ღია ბეჭედი საარბრიუკენიდან

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენიდან მოუვიდა დეპეშა იმ ხელოვანთაგან, რომლებმაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგეს რ. ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი“. — „სამშობლოში დაბრუნებისთანავე, — ნათქვამია დეპეშაში, — გითვლით მადლობას იმ დიდი ადამიანური სითბოსათვის, რომელსაც არ გვაკლებდით თქვენს მიწა-წყალზე, იმ დიდი შემოქმედებითი ბედნიერებისათვის, ჩვენმა მეგობრობამ რომ მოგვიტანა.

საარბრიუკენის თეატრის მთელი კოლექტივის სახელით მოგიწოდებთ განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა, ჩვენი მეგობრობა.

ჩვენ და თქვენ დავამტკიცეთ, რომ ხელოვნებისათვის არ არსებობს საზღვრები. „გაგიმარჯოთ, დიდი მადლობა!“ (ეს უკანასკნელი სიტყვები დეპეშაში ქართულად ეწერა).

მარად თქვენი საარბრიუკენელი ქართველები — ჰერმან ვედეკინდი და ზიგფრიდ კიოლერი“.

იცის საზღვრები...

„სალხინო“ რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლია, ერთობ პოპულარული ჩვენში, უკვე კარგად ნაცნობი უცხოეთშიც...

„სალხინო“ 1964 წელს დაარსდა, როგორც ქორეოგრაფიული ჯგუფი. მელითონელები და ქომიკოსები, მოსწავლეები და სტუდენტები მონაწილეობდნენ მასში. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბუხუტი დარახველიძე.

უკვე ოთხი წლის შემდეგ რუსთაველმა მოცეკვავეებმა თავი ისახელეს სოფიის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალზე — ლაურეატები გახდნენ და ოქროს მედალი დაისაკუთრეს.

კმაყოფილი იყვნენ ყველანი და უფრო მეტად — რუსთავის საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე რევაზ მორჩილაძე. ამ ადამიანის წინაშე ახალი ამოცანა დადგა — ვოკალური ანსამბლის ჩამოყალიბება, რათა შექმნილიყო მთლიანი საკონცერტო პროგრამა.

... და ჩამოყალიბდა ვოკალური ანსამბლი და ხალხურ საკრავთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი აწზორ ერქომაიშვილი. ახალგაზრდა მომღერლებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ უძველესი ხალხური და თანამედროვე ქართული სიმღერები.

1970 წელს ფოლკლორისტთა მეცამეტე საერთაშორისო ფესტივალზე „სალხინომ“ პირველი პრიზი მოიპოვა. რუსთაველი მოცეკვავეები და მომღერლები წარმატებით გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამას წინათ „სალხინო“ ტრიუმფით გამოვიდა საფრანგეთსა და ბელგიაში.

ორი თვის განმავლობაში ყოველდღე ხალხით იყო გაჭედილი რვაათასმაყურებლიანი პარიზის სპორტის სასახლე. ფრანგები მხურვალე ტაშით აჯილდოებდნენ „სსრ კავშირის ხალხთა ფესტივალის“ მონაწილე საბჭოთა მსახიობებს.

ანსამბლ „სალხინოს“ მოცეკვავეთა ჯგუფი (ქორეოგრაფი კულტურის დამსახურებული მუშაკი რევაზ ჭოხონელიძე) ერთ-ერთი პოპულარული კოლექტივი იყო კონცერტში მონაწილე ანსამბლებს შორის.

გაზეთი „კომბა“: „...ამ ცეკვებს შორის, სადაც ტექნიკა საკმაოდ თეატრალიზებულია, ქართული ბალეტი „სალხინო“ გამოირჩევა თავისი ბრწყინვალე დადგმით, არ შეიძლება გულგრილი დარჩე და მშვიდად იჯდე თქვენს სავარძელში, როცა უცქერით იმ გასაოცარ ენერგიას, რომლითაც სრულდება ცეკვა ხმლებითა და ფარებით, ცეკვა, რომელშიც ნაპერწკლები იფრქვევა თვალებიდან და ლითონისაგან“.

როცა რუსთაველი მოცეკვავეები ტრიუმფით გამოდიოდნენ პარიზში, მათი მომღერლები მხურვალედ მიიღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ისინი ქართული ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო სიმღერებით წარდგნენ. ანსამბლი მონაწილეობდა აქ გამართულ სსრ კავშირის შექმნის 50. წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. მაინის ფრანკფურტსა თუ ჰამბურგში, ბრემენსა და კიოლნში დიდხანს ეხსომებათ ქართველ მომღერალთა მიერ შესრულებული სიმღერები.

წლეულს თებერვალში „სალხინო“ ბელგიას ეწვია. ქართველი მოცეკვავეები და მომღერლები ელოდნენ. ბრიუსელის მაყურებელი ხომ ძალიან განებივრებულია და განსაკუთრებით მომთხოვნი — ბრიუსელი მდებარეობს თითქმის ევროპის ცენტრში, სადაც გადის ბევრი მსახიობისა და მხატვრული დასის საზღვარგარეთული საგასტროლო გზები.

პირველი გამოსვლა „სალხინოს“ სერიოზული გამოცდა იყო, მაგრამ პირველივე კონცერტმა ცხადყო, რომ რუსთაველებმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს.

პირველი ვოკალური ნომრების, მგზნებარე და ცეცხლოვანი ცეკვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ანსამბლმა გაინაღდა წარმატება. დარბაზი სულს ნაბავდა, როცა სცენაზე გამოდიოდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვოკალური ჯგუფის წევრები. სიჩუმით მოცულ დარბაზში საამოდ ისმოდა „ოდოია“, „კვირია“ და სხვა სიმღერები. მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ მდიდარი და მრავალფეროვანი პროგრამის ყოველ ნომერს. დამსწრენი განაცვიფრეს მოცეკვავეებმა. დიდი წარმატება ხვდათ სოლისტ მუსიკოსებს.

ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მორის სენჟემ თქვა — „ამან ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს მე ვნახე ანსამბლი და მაშინვე გადავწყვიტე, რომ დამეთანხმებინა ჩემი კოლეგები მოგვეწვია ეს შესანიშნავი მსახიობები ბელგიაში. მახარებს, რომ ჩემი არჩევანი სწორი გამოდგა“.

„როცა „სალხინოს“ უყურებ და უსმენ, დარბაზს ვეღარ გრძნობ. გგონია თითქოს ქართულ დღესასწაულზე იყო, მონაწილეობდე ამ საერთო მხიარულებაში“, — თქვა კულტურისა და ტურიზმის დარგში პრესის ასოციაციის თავმჯდომარემ მარგარიტა პენენმა.

ამ საყოველთაო აზრს ბელგიის პრესაც იზიარებდა. „რა წარმტაცია ქართული ცეკვის კონტრასტი, სადაც ჭაბუკთა სისწრაფე ესოდენ შესანიშნავად ეხამება ქალიშვილების მსუბუქ, ნარნარ გოგმანს“, — წერდა ბელგიური გაზეთი „სუარი“.

და მაშინ, როცა პირველი კონცერტის დასასრულ ანსამბლის მსახიობები მესამედ ასრულებდნენ „ბისზე“ ცეკვა „სალხინოს“, მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ მათ კონცერტებზე ლიეჟისა და ბრიუგეს თეატრებში უკვე გაყიდული იყო ყველა ბილეთი.

და ყველგან, ბრიუსელსა თუ ბრიუგეში, ანტვერპენსა თუ ნამიურში, გენტსა თუ ლალიუვიერში მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მსახიობებს. დიდი მოწონება ხვდა წილად ანსამბლის სოლისტს ჰამლეტ გონაშვილს. იგი კონცერტის შემდეგ ყოველთვის ავტოგრაფების მოყვარულთა ტყვეობაში იყო. ვენერა მაისურაძე ფანდურის თანხლებით ოსტატურად ასრულებდა გულში ჩამწვდომ „იავნანასა“ და „მთიელის სიმღერას“. პროგრამის სული და გული იყო ქართულ ხალხურ საკრავთა ტრიო ომარ კელაპტრიშვილის ხელმძღვანელობით.

მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა ცეკვები: „ქართული“, „სიმდი“, „მხედრული“, „სალხინო“, „ფარიკაობა“, „ფერხული“.

„სალხინომ“ 14 დღეში ცამეტი კონცერტი გამართა. პრესა ისევ და ისევ ხოტბას ასხამდა ქართველთა საშემსრულებლო ხელოვნებას.

გაზეთი „ვერ ლავენირი“ აღნიშნავდა ქართველი გოგონების სილამაზესა და მომხიბვლელობას, რომლებიც ისე მსუბუქად მოძრაობენ, როგორც ჯადოსნური ფერიები, მუქ ჩოხებში და ტყავის მესტებში გამოწყობილი მოცეკვავე ვაჟთა მოქნილობას, ძალასა და მამაცობას აქებდა.

ბილეთები ძალზე ძვირი ღირდა. კონცერტებზე დასწრების მსურველთა რიცხვი კი გამუდმებით იზრდებოდა. „სალხინოს“ კონცერტებს დაესწრნენ ბელგიაში მცხოვრები და სხვა ქვეყნებიდან ჩასული ჩვენი თანამემამულენი. ამ ადამიანების შეხვედრა „სალხინოსთან“ ერთობ გულთბილი იყო. ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ქართული ხალხური სიმღერების შემკრებს აწზორ ერქომაიშვილსა და მუსიკისმცოდნე ელენე წერეთელს...

„სალხინოს“ ტრიუმფით დაეკვება საგასტროლო გზები.

ჯემალ ქურხული







სურათებზე: (ზემოდან) „სალხინოს“ პროგრამები; „სალხინო“ მიფელის კოშკთან.



ნორჩი მხატვრის წარმატება

დასავლეთ ბერლინის ჟურნალის „ხელოვნების“ წლევანდელი იანვრის ნომრის შიდა გაშლილ გვერდზე მოთავსებულია ფრანგი ხელოვნებისმცოდნის პოლ ჟიულენის ვრცელი სტატია: „პირველად მსოფლიოში პატარა მხატვრების დიდი გალერეა“, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა სომხეთის დედაქალაქში გახსნილ ბავშვთა ნახატების გალერეა-მუზეუმზე. სამი წელიწადია, რაც ეს შესანიშნავი საჩუქარი — ორსართულიანი ვარდისფერი ტუფით ნაგები, ნათელი შენობა, მიეძღვნა საბჭოთა ბავშვების თავიანთი ნახატების, ნაძერწების, გამოყენებითი ნიმუშების გამოსაფენად. უკვე 40 საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენა მოეწყო აქ. შენობის პირველ სართულზე მუზეუმია, სადაც მუდმივ ექსპოზიციაშია მსოფლიოს ნორჩ მხატვართა საუკეთესო ნაწარმოებები.

ამ დღეებში გალერეა-მუზეუმში მოეწყო თბილისელი მოსწავლის, საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატის, 9 წლის გეგა პაქსაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. 60 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, გუაშითა და პასტელით შესრულებული საკმაოდ დიდი ტილო და 50 მინიატიურა წარადგინა ნორჩმა ქართველმა მხატვარმა სამსჯავროზე. — გალერეის ისტორიაში ჩაიწერა 9 წლის ბიჭუნას პირველი პერსონალური გამოფენა, — განაცხადა გამოფენის გახსნისას გალერეა-მუზეუმის დირექტორმა ჟანა აღამიხიანმა და ნორჩ მხატვარს დაუთმო ბაბთის გადაჭრის პატივი. ძალზე ბევრი ხალხი მოვიდა პატარა გეგას ვერნისაჟის სანახავად. გახსნას დაესწრო სომხეთის კულტურის მინისტრი რუბენ ფარსანიანი, მოვიდნენ გამოჩენილი მხატვრები: არამ კურჩიანი, არა შირაზი, ედუარდ ხარაზიანი, გეორქ და რობერტ ელიბეკიანები, რაფაელ ოვნათანიანი, ხელოვნებისმცოდნეები ლეონ ნერსესიანი და ლეონ ეგიტიანი, რომლებმაც საუკეთესოდ შეაფასეს ნორჩი ქართველი მხატვრის ექსპოზიცია. — ძნელია იმის თქმა, შეემატება თუ არა საბჭოთა მხატვრების რიგებს გეგა პაქსაშვილი, აირჩევს თუ არა ბიჭუნა მხატვრის პროფესიას, მაგრამ აშკარაა მისი ხალასი ნიჭი და, რაც მთავარია, შრომისმოყვარეობა. ფერების შეგრძნების დიდი აღღო და ფერწერისადმი ესოდენი სიყვარული, — აღნიშნა თავის სიტყვაში ლეონ ეგიტიანმა, — აღტაცებას იწვევს, ნორჩი მხატვრის გუაშით შესრულებული მინიატიურები, აქ წარმოდგენილი ნამუშევრების რიცხვი კი ლაპარაკობს პატარა მხატვარზე, როგორც ნაყოფიერ შემოქმედზე.

შთაბეჭდილებათა წიგნი აივსო გეგას თანატოლების ჩანაწერებით. გამოფენის გახსნა ორი მოძმე ხალხის ნორჩი თაობის ზეიმად იქცა. ფოტოკორესპონდენტები ვერ ასწრებდნენ ფირზე აღებეჭდათ ბავშვების სიხარული და მეგობრული გაწყობილება. ერევნელი მოსწავლეები თბილისელ ბიჭუნას ართმევდნენ ავტოგრაფებს, სთხოვდნენ მისამართს, ეპატჟებოდნენ ერევნის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხატვართა სახელოსნოს დასათვალიერებლად. მეორე დღეს ერევნის რადიომ და ტელევიზიამ სპეციალური გადაცემები მიუძღვნა თბილისელი ბიჭუნას ვერნისაჟს. თანატოლებმა ახლად შეძენილი მეგობარი წაიყვანეს ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. გეგამ ჩაიხატა გარენისა და გეღართის ტაძრები, სევანის ტბის მიდამოები და აჩუქა ერევნელ პიონერებს. ხოლო გალერეას მუდმივი ექსპოზიციისათვის საჩუქრად გადასცა ხუთი ნამუშევარი: „მზე თბილისში“, „დილა მშვიდობისა“, „ლურჯი ტბა“, ბიძისა და პაპის პორტრეტები. გამოფენა 1 მაისამდე გასტანს.

კირა კვეიძე




სურათებზე: აი, გადაჭრის ბაბთას და ნორჩი მხატვარი გეგა პაქსაშვილი თანატოლებს შეუძღვება თავის პერსონალურ გამოფენაზე.

გამოფენას ხსნის გალერეის დირექტორი ჟანა აღამიხიანი.

თაობის აღზრდა მომავალზე ზრუნვაა

საბავშვო წარმოდგენათა დათვალიერება



საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საბავშვო თეატრების წარმოდგენათა დათვალიერება.

დათვალიერება მიზნად ისახავდა რესპუბლიკის საბავშვო თეატრების რეპერტუარის დონის ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს გმირულ-რევოლუციური წარსულისა და ბედნიერი აწმყოს ამსახველი ახალი პიესებისა და წარმოდგენების გამოვლინებას, სკოლასთან, პიონერთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან თეატრების კავშირის განმტკიცებას, თეატრებში პედაგოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის დონის კიდევ უფრო ამაღლებას, თეატრების ერთობლივ მოღვაწეობას განათლების ორგანოებთან და ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

დათვალიერებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საბავშვო და თოჯინების სახელმწიფო თეატრები. ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული თეატრალური კოლექტივები და დააჯილდოვა:

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის კოლექტივი — ვლადიმერ იაკაშვილის პიესის — „ციხისხევის საიდუმლოების“ კარგი დადგმისათვის — დამდგმელი რეჟისორია თენგიზ მაღალაშვილი.

ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის კოლექტივი — მიხეილ შატროვის პიესის — „რევოლუციის სახელით“ — კარგი დადგმისათვის. დამდგმელი რეჟისორია კოტე სურმავა.

როლის მაღალმხატვრულად განსახიერებისათვის პრემიით დაჯილდოვდნენ მსახიობები: ნათელა მაჭავარიანი, ბერტა ხაფავა, ევგენი ბასილაშვილი, შოთა ცუცქირიძე და ეთერ ცქიტიშვილი.

საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ რეჟისორები — თენგიზ მაღალაშვილი და კოტე სურმავა; მხატვრები — ლევან მეხუზლა და გივი ცერაძე; მსახიობები — ალექსი სიმკოვიჩი, გელა რევაზიშვილი, ოთარ ბაღათურია, ნათელა პაატაშვილი, ვლადიმერ მაზმიშვილი, ინგა სადკოვა; თბილისის თოჯინების თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე ჯემალ ქარჩხაძე.

სამკერდე ნიშანი „პიონერებთან აქტიური მუშაობისათვის“ მიიღეს ვახტანგ ლოლაძემ, თენგიზ ჯანელიძემ, გივი სარჩიმელაძემ, ინგა ბასილოვამ.

რამდენიმე კითხვით მივმართეთ დათვალიერებაში მონაწილეთ.

გლადიმერ იაკაშვილი — რატომ დავიწყე დრამატურგიაში მოღვაწეობა საბავშვო პიესით? ალბათ იმიტომ, რომ ბავშვების აღზრდის საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულად მაწუხებს. დღევანდელი ბავშვის გონება გადატვირთულია მეცნიერებისა და კულტურის იმპულსთა უწყვეტი ნაკადით, რასაც ძალუნებურად იღებს ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით.

ამ ვითარებაში, თეატრი ვერ გააკეთებს სხვა უფრო მნიშვნელოვან საქმეს, ვიდრე ბავშვის რომანტიკულ სამყაროში თუნდაც წუთიერი მოგზაურობაა; ამ პიესას რომ ვწერდი, მიზნად სწორედ ეს მქონდა.

თენგიზ მაღალაშვილი — რატომ დავწერე ბავშვებისათვის? ამგვარივე კითხვა მომცეს მაშინ, როცა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში ვიწყებდი მუშაობას — რატომ მიდიხარო სამუშაოდ ბავშვთა თეატრში? კითხვამ დამაბნია, მხრები ავიჩეჩე და წავილუღლუღე — ალბათ იმიტომ, რომ მიყვარს ბავშვები, მე თვითონაც მყავს ბავშვი, მეც ვიყავი ბავშვი... — ერთი სიტყვით, სიცილი დამაყარეს.

შვიდი წელიწადია ვმუშაობ მოზარდების თეატრში. მხარდამხარ მიხდება ცხოვრება ბავშვებთან. ვაკვირდები მათ, ვცდილობ ავხსნა — რა აწუხებთ და რა ახარებთ, რატომ მოსწონთ ერთი და რად არ მოსწონთ მეორე. თუ დღემდე წარმოდგენათა საშუალებით ვცდილობდი დავხმარებოდი ნორჩებს, ეხლა პიესითაც შევეცადე გამეკეთებინა იგივე, რათა გამეადვილებინა მათთვის იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელთაც მათ წინაშე აყენებს ცხოვრება.

კოტე სურმავა — რატომ ავირჩიე მიხეილ შატროვის პიესა „რევოლუციის სახელით“? წარმოდგენა მიეძღვნა პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს. დიდნების შესახებ, რომლებშიც ყალიბდებოდნენ მაშინდელი ბავშვები.

ეს თემა ყოველთვის მიტაცებდა და მაღელვებდა, თითქმის ბავშვობიდანვე. ეს გატაცება დღემდე შემრჩა.

გარდა ამისა, ჩემთვის შთამაგონებელი იყო ლენინის სახესთან შეხვედრა. მინდოდა მემუშავა დიდი ბელადის, უდიდესი მოაზროვნის სცენიურ სახეზე. აი რა მხიბლავდა და მიზიდავდა ამ პიესაზე მუშაობისას. განა ამ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე არ აღიზარდნენ სახელოვანი საბჭოთა ადამიანები?

საუბარი ჩაიწერა

ნუნუ წიქორიამ

სურათებზე: სცენები სპექტაკლებიდან: „რევოლუციის სახელით“ — ლენინის როლში ალექსი სიმკოვიჩი; „ციხისხევის საიდუმლოება“.



მეგობრების შეხვედრა

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ კოტე მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივსა და თბილგვირაბმშენის მუშა-მოსამსახურეებს. რამდენი თბილი შეხვედრა, კოლექტიური მიპატიჟება თეატრსა თუ გვირაბმშენის ობიექტებზე სასიამოვნო მოგონებებად რჩება მეხსიერებას.

ამას წინათ, დილის სპექტაკლის შემდეგ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ალექსიძის მოთავეობით მსახიობთა ჯგუფმა ავჭალისაკენ გავწიეთ. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე თეატრის დირექტორის მოადგილე ნოდარ მახათელი.

შესანიშნავი კვირა დღე იყო. ავტობუსი მიგვაქროლებდა და ჩვენ კიდევ ერთხელ ვაზუსტებდით, როგორ ვასიამოვნებდით მასპინძლებს, რას ვეტყოდით ახალს, საინტერესოს.

...ზემო ავჭალის ხეობა. გამოჩნდა უზარმაზარი მილები, შემდეგ თვითონ გვირაბი, რომელიც სულ მალე თბილისის მცხოვრებლების სასიკეთოდ და სასიხარულოდ ამჟამად არსებული წყლის მარაგს მნიშვნელოვნად გაადიდებს. ობიექტზე მეგობრულად შემოგვეგებნენ.

თბილგვირაბმშენის უფროსი ვიქტორ გოცირიძე თავისი ჩვეული ღიმილით შემოგვხვდა. თბილი და უანკალოდ ახლობლური იყო მისეული მიღება.

მასპინძლებმა ობიექტი დაგვათვალიერებინეს, აგვიხსნა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვირაბის მშენებლობას თბილისის მოსახლეობისათვის. გაგვასინჯეს სასმელი წყლის ჭაშნიკი. ყველამ დიდი სიამოვნებით აღვნიშნეთ მისი ღირსება.

ვიქტორ გოცირიძემ გაგვაცნო მუშები, გვესაუბრა მათ საქმიანობაზე.

შემდეგ კი ჩვენი ჯერი დადგა. მუშების წინაშე სახელდახელო კონცერტი გავმართეთ. ჩვენი მაყურებლები ღიმილითა და მოწიწებით შემოგვცქეროდნენ. ამან კი ძალა შეგვმატა, ჩვენც გავხალისდით. სიამოვნებით მოუსმინეს ვახტანგ ნინუას, რომელიც მოყვა ვეფხვებთან კინოგადაღების ეპიზოდს, მოიწონეს ტარიელ საყვარელიძის წკაპუნით ლადო ასათიანის ლექსი, ვაჟა კვიტაიშვილისა და ბონდო გოგინავას მიერ საინტერესოდ გათამაშებული სკეჩი — „მამები“...

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დიმიტრი ალექსიძე თბილი სიტყვით მიესალმა დამსწრეთ, გააცნო ჩვენი მომავალი გეგმები, მოიპატიჟა თეატრში.

თამარ თეთრაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

ქართული პოეზია საზღვარგარეთ

ქართული ლიტერატურა სულ უფრო მეტ მკითხველს იზიდავს საზღვარგარეთ. ევროპის მრავალ ქვეყანაში დედაენაზე კითხულობენ როგორც კლასიკოს, ისე თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის თარგმანები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა „ფერლაგ ფოლკ უნდ ველტ — კულტურ უნდ ფორშრიტი“ პერიოდულად აწვდის გერმანელ მკითხველებს საბჭოთა მწერლების შემოქმედებას. გამომცემლობამ გამოაქვეყნა „ქართული პოეზიის ანთოლოგია რვა საუკუნის მანძილზე“ და გამოსაცემად ამზადებს „ქართული პროზის ანთოლოგიას“.

ცნობილმა უნგრელმა პოეტმა და მთარგმნელმა ყუყა რაბმა ქართველ პოეტებს მოუმზადა კარგი საჩუქარი — „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“, რომელიც გამოაქვეყნა გამომცემლობა „ევროპამ“.

რუმინეთში გამოსაცემად ამზადებენ „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“. თარგმანზე მუშაობს ახალგაზრდა რუმინელი პოეტი დემიტრუ მ. ითნი.

ამავე სახის ანთოლოგიას გამოსცემს პოლონეთი და იუგოსლავია.

პარიზში, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესათვის გამოვიდა პოეტის წიგნი, რომელიც თარგმნეს თვალსაჩინო ფრანგმა პოეტებმა, გამოდის ქართული პოეზიის ანთოლოგია. კრებულში შევა ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და ხალხურ მთქმელთა ნაწარმოებები. ლექსები თარგმნა ქართული ლიტერატურის დაუცხრომელმა პოპულარიზატორმა საზღვარგარეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა სერგი წულაძემ.

მთაც ლამაზი გვაქვს, ბარიც ლამაზი...

ხვალინდელი ხევსურეთი



ხევსურეთი...

ჩვენი მთა, ძველი საქართველოს ფარ-ხმალი. თითზე ჩამოსათვლელ გვარ-ტომთა სამშობლო — არაბულებისა, ქეთელაურებისა, ზვიადაურებისა, ჭინჭარაულებისა, გოგოჭურებისა... შვილებსა და შვილიშვილებს თაობიდან თაობებს რომ გადასცემდნენ მამულის სიყვარულს.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შატილი და ხახმატი, გუდანი და ბისო, მიხვდება, რა ძალამ შეაყვარა ხევსურს სამშობლო.

შატილი...

მისი უძველესი, მთავარი ნაწილი გაშენებულია კლდეზე. მტრისათვის მიუდგომელი იყო ცადაზიდული, მონუმენტური საცხოვრებელი კოშკები. შატილის ციხე-სახლები სამ-ხუთსართულიანებია. ქვემო სართულებს გომურებად და ფარხებად იყენებდნენ შატილიონები, შუა სართულებს საცხოვრებლად, ხოლო ზედა სართულებს თავდასაცავად.

1952 წლის შემდეგ შატილელები სამგორში ჩამოსახლდნენ. შატილი ცარიელდება, ისტორიული შენობანი ზიანდება.

და განა მარტო შატილი, ცარიელდება ხევსურეთის სხვა სოფლებიც. სადღეისოდ მთამ ბარისაკენ გამოიწია. გომბორში, თეთრწყლებში, გამარჯვებაში, შირაქში დასახლდნენ ხევსურები... მაგრამ ხევსურეთმაც უნდა იარსებოს. ამაზე ზრუნავენ ადამიანები. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ფშავ-ხევსურეთის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მერე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. შესდგა ფშავ-ხევსურეთში სოფლების მშენებლობის 1972-1975 წლების გეგმა. ეს არის გრანდიოზული გეგმა, რომლის განხორციელებითაც სიკეთისაკენ შეიცვლება საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. ქართველმა ხუროთმოძღვრებმა მეტად საინტერესო პროექტები წარმოადგინეს. უძველესი ციხე-კოშკების გვერდით საფუძველი ჩაეყრება თანამედროვე ხევსურეთს. ისე რომ, ეს მხარე პირვანდელ სახეს არ დაკარგავს. ყოველივე ახალი ძველის ნაფუძარზე აიგება.

რას ითვალისწინებს მთავრობის დადგენილება, როგორ ესახებათ ხვალინდელი ხევსურეთი არქიტექტორებს?

დადგენილება ითვალისწინებს არა მარტო სოფლების ახალ დაგეგმარებასა და განაშენიანებას, არამედ არსებულ სოფლებში ცალკეული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების — სკოლების, მასწავლებელთა სახლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისა და სხვათა მშენებლობას.

საქართველოს სსრ „სახმშენმა“ ხევსურული საცხოვრებელი სახლის ტიპის შესაქმნელად მოაწყო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საპროექტო ინსტიტუტები, ისე ცალკეული არქიტექტორებიც. ამის შემდეგ — ბარისახოს, გუდანისა და ხახმატის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შედგენა დაევალა სამ საპროექტო ჯგუფს: გუდანი — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის № 1 არქიტექტურულ სახელოსნოს (ჯგუფის უფროსი ირმა მარგიშვილი), ხოლო ბარისახო და ხახმატი „საქქალაქმშენსახპროექტსა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპროექტო ჯგუფს (ხელმძღვანელი ვახტანგ დავითაია).

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულმა ტრადიციებმა, საქმიანობის სპეციფიკამ, განსაკუთრებულმა ბუნებრივმა პირობებმა არქიტექტორებს უკარნახა ზომიერება. პარტიისა და მთავრობის დადგენილების ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც ხომ ის არის, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზით ამ კუთხის მოსახლეობა თავის მამა-პაპეულ ადგილზე დაამაგროს და ამიტომ თავდაპირველად გათვალისწინებული 13 სოფლის ნაცვლად უფრო მეტი სოფელი გაითვალისწინეს იმაზე, რომ შესაძლებელი იყოს ამ სოფლების შემდგომი ზრდა. გუდანში მომავალი განაშენიანებისათვის დარჩება თავისუფალი ტერიტორია, სადაც სხვა სოფლიდან ჩამოსახლებულს სამუალება ექნება გეგმის მიხედვით ააშენოს სახლი.

ბარისახო-შატილის გზის მშენებლობა დამთავრდა. ეს კი სამუალებას იძლევა პირველ რიგში დამაგრდეს და განაშენიანდეს გზასთან ახლომდებარე სოფლები: მაღაროსკარი, შუაფხო, ბარისახო, გუდანი, ბისო, ხახმატი, შატილი, მუცოსჭალა.

გუდანისა და შატილის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებზე მუშაობენ ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი დავით მორბედაძე, სახელოსნოს უფროსი და ამ პროექტების მთავარი არქიტექტორი ირაკლი მარგიშვილი, უფროსი არქიტექტორები ლილი მჭედლიშვილი და თამაზ ქავთარია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპროექტო ჯგუფი არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ხელმძღვანელობით, ვაჟა ორძელაძის, მერაბ გუგუნავას, პავლე ძინძიბაძისა და შოთა ბოსტანაშვილის მონაწილეობით ამუშავებს ხახმატისა და ბისოს დაგეგმარება-განაშენიანების პროექტს.

გუდანში მშენებლობა უკვე დაიწყო. აქ აშენდება ცამეტი ორსართულიანი სახლი, რომელთაგან თითოეულში იქნება ოთხი ოთახი. რელიეფმა არქიტექტორებს უკარნახა ტერასებად განაშენიანება. სახლების კომპაქტური განლაგება გაათავისუფლებს ტერიტორიას ბოსლებისა და საძოვრებისათვის, ხევსურთა საოჯახო კომპლექსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი — ბოსელი სახლის ახლოს მოთავსდება და ამასთანავე სრულიად გამოყოფილი იქნება. მოპირკეთება ადგილობრივი საშენი მასალით — შავი ფიქალით — სოფელს შეუნარჩუნებს ტრადიციულ კოლორიტს. დამპროექტებლებმა გაითვალისწინეს საძოვრების პირუტყვის გასარეკი ბილიკებიც, რომლებიც გამოყოფილი იქნება სოფლის მთავარი გზისა და ცენტრალური მოედნისაგან.

გუდანში აიგება შენობა, რომელშიც მოთავსდება სასოფლო საბჭო, კლუბი, მაღაზია, სამედიცინო პუნქტი, კავშირგაბმულობის კვანძი. ყველაფერი ელექტრიფიცირებული, რადიოფიცირებული იქნება, გაიყვანენ წყალსადენს, კანალიზაციას, ცენტრალურ გათბობას.

არქიტექტორები იმასაც ითვალისწინებენ, სოფლები ერთიმეორეს არ დაემსგავსოს. გუდანის, ხახმატისა და ბისოს სახლები სხვადასხვანაირად არის გადაწყვეტილი. საინტერესოა შატილის განაშენიანების პროექტი.

შატილის ციხე-სიმაგრიდან დასახლებას ჰყოფს შატილის წყალი. ეს ის ადგილია, სადაც მოსახლეობა დროთა განმავლობაში ციხიდან ჩამოსახლებულა. შატილის პერსპექტიულ განვითარებას არქიტექტორები და დამპროექტებლები გიორგიწმინდის ჭალაზე ვარაუდობენ. საყურადღებოა ტურბაზის შენობის პროექტი. ტურბაზა მოხერხებულად შეერწყმება გარემო პირობებს. იგი 130 კაცზეა გათვალისწინებული, 40 ადამიანი მომსახურება და ყველა სახის კომფორტით აღიჭურვება. ტურბაზა შატილის კოოპერირებული ცენტრიც იქნება და მოსახლეობას კულტურულ, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას გაუწევს.

საინტერესოდ გადაწყდება შატილის ციხის ბედიც. საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულმა ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სახელოსნომ ციხის აღდგენითი, საპროექტო სამუშაოები უკვე დაამთავრა. დაიწყო ციხის გასუფთავება, შატილის ციხე თავისი ძველი სახით აღდგება. მის ნაწილს დაიჭერს ხევსურთა ყოფაცხოვრების ამსახველი მუზეუმი. არქიტექტორები ფიქრობენ ციხის რამდენიმე კოშკი გამოიყენონ და გარეგანი სახის შეუცვლელად შიგ მოაწყონ სასტუმროს კომფორტული ნომრები.

სოფელი ბარისახო კვლავ დარჩება ხევსურეთის ყველაზე დიდ დასახლებად. გენერალური პროექტით იგი კორშის მიმართულებით გაიზრდება. ხევსურებს ძველ ნაფუძარზე აგებული თანამედროვე ხევსურეთი ექნებათ.

ლაშა გარეჯელი

ზღვასა და მზესთან

გაგრაში დასასვენებლად ჩასულ კაცს თავი ზღაპარში ჰგონია და იმის ცდაშია, მზეს ხელით მისწვდეს. ამიტომ თუ ადის გაუთენებლივ ცადაზიდულ მთებში და საათობით დარაჯობს მნათობის ამობრწყინებას, მერე თვალსა და ხელშუა გამსხლტარ მზეს ზღვის ტალღებში უპირებს დაჭერას და მხარულით მიჰყვება მის ნაკვალევს... ხელმოცარულ მზის მადევარს სახე ბედნიერებით ავსებია, რამეთუ იცის ის, რასაც ხელით ვერ მისწვდა, სითბოდ ჩაეღვარა. მნათობის დევნამ ორგანიზმი გაუკაჟა, მუხლსა და მკლავში ძალა შემატა...

• • •

საქართველოს თვალმარგალიტის — გაგრის ზღვისპირეთის მთისა და მზის სიკეთე ადამიანებმა ჩვენი საუკუნის დამდეგს გაიგეს, მაგრამ მაშინ იგი მხოლოდ რჩეულთა დასასვენებელი ადგილი იყო...

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აფხაზეთში იმოგზაურა რუსეთის გზათა მინისტრმა. ამალის ერთ-ერთ წევრს, საქმოსან პრინც ალექსანდრე ოლდენბურგს გაგრის მიდამოები თვალში მოუვიდა და მისი ხელში ჩაგდება გადაწყვიტა... პრინცმა თავის ვაჟს ცოლად მოაყვანინა რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზის და, რომელსაც მეფემ მზითვად მისცა სამი მილიონი მანეთი და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე 15 ათასი ჰექტარი მიწა. ამასვე დაემატა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, რომელთაც ნაბოძვარ მიწაზე უფასოდ უნდა ეშენებინათ კურორტები...

1901 წელს, 9 ივლისს, მეფის ნება-სურვილით ალექსანდრე ოლდენბურგს ოფიციალურად დაევალა გაგრის კლიმატური სადგურის მშენებლობაზე ზრუნვა...

ის, რაც ჭაღალდზე კლიმატურ სადგურად იწოდებოდა, სინამდვილეში მხოლოდ ყველაზე მდიდარ ადამიანთა თავშესაქცევ, აზარტულ თამაშობათა ბუდედ იქცა — მეფესა და მის მოხელეებს აფიქრებდათ ის გარემოება, რომ ამა ქვეყნის „რჩეულნი“ დასასვენებლად, როგორც წესი, უცხოეთში მიდიოდნენ, სადაც უამრავ ფულს აგებდნენ ბანქოში და ამიტომაც საკუთარი „მონტე-კარლოს“ დაარსება განიზრახეს, რათა ოქრო საზღვარგარეთ არ გასულიყო.

ნატიფად ნაგები სასახლეები თავდაპირველად ბევრ დამსვენებელს იზიდავდა, მაგრამ ის, ვინც ერთხელ ჩამოდიოდა გაგრაში, მეორედ აქეთ გამომგზავრებას აღარ ფიქრობდა — ციებამ არ იცოდა მდიდრისა და ღარიბის გარჩევა. მათთვის, ვინც აქ ერთი ღამის გათევაში ოქროთი 12 მანეთს იხდიდა, კოლოს წუილის მოსმენა, ციებცხელებით დაავადება ვერაფერი დროსტარება და სიამოვნება იყო...

გაგრას ნამდვილი პატრონი (ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა კურორტს), ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოუჩნდა.


უკვე 1924 წლისათვის გაგრაში მოისპო ციება. ზედიზედ აშენდა უამრავი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლები, რომელთა რიცხვი ეხლა ოცდაათს აღემატება. „საქართველო“, „კოლხეთი“, „თბილისი“, „გაგრა“, „უკრაინა“, „სომხეთი“... წელიწადის ყველა დროს ფართოდ ღებებს კარს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსულ დამსვენებლებს.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ზღვისპირა კურორტი თავისი ბუნებრივი პირობებით, გაგრას რომ შეედრებოდეს, ყოველ შემთხვევაში, შავი ზღვის სანაპიროზე მას პირველობას ვერავინ ეცილება: საშუალო წლიური ტემპერატურა აქ ყველაზე მაღალია (+ 15), კავკასიონის ქედი ცივი მასების შემოჭრისაგან იცავს. საბანაო სეზონი თითქმის 7 თვეს გრძელდება. სწორედ ამ ბუნებრივმა სიკეთემ და ადამიანის ჯანსაღ დასვენებაზე საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მუდმივმა ზრუნვამ გაუთქვა სახელი გაგრას, სადაც ყოველწლიურად თითქმის 700 ათასი კაცი ისვენებს.


დღეს რაც დიდებულია, ხვალ მოძველებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, ამიტომაც არის გაგრაში გამალებით რომ მიმდინარეობს ახალი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სასტუმროების მშენებლობა. უახლოეს წლებში გაგრას კიდევ 10 დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი შეემატება, აშენდება ახალი თეატრი, გადახურული საცურავი აუზები...

აღსანიშნავია საკურორტო ზონა, რომელიც გაგრის თავზე წამომდგარ მთების წვერზე გაშენდება. აქ ზაფხულის პაპანაქებაშიც კი უხვად დენს თოვლი, საბაგირო გზა მთებში მგზავრებს 20 წუთში აიყვანს და ზღვასთან ერთად თოვლიც ჩადგება ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში...

რევაზ მაჭავარიანი




ძველი გაგრის ერთ-ერთი კუთხე



სანატორიუმი „საქართველო“



„გაგრიფშის“ პარკში



ღამის პეიზაჟი

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲡ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ!

თანამემამულენო! ქვეყნოთ ვბეჭდავთ ავსტრიაში მცხოვრებ ანა ელინეკის წერილს, რომელიც დაიბეჭდა „გოლოს როდინიში“ და რომლითაც ავტორი უცხოეთში მცხოვრებ თავის თანამემამულეებს მოუწოდებს მშობლიური ენის არდავიწყებას. კმაყოფილი ვიქნებით, თუ რომელიმე ჩვენი თანამემამულე გამოეხმაურება ელინეკის ფიქრებს — გვაუწყებს უცხოეთში მცხოვრებ თაობათათვის ქართული ენის შესანარჩუნებლად გაწეული გარჯისა და მეცადინეობის შესახებ.

გავუფრთხილდეთ დედაენას!

ნებით თუ უნებლიეთ ისე მოხდა, რომ 1960 წლიდან ჩემი ოჯახით ვენაში ვცხოვრობ. სამშობლოს რა დაგვავიწყებს, სათუთად ვინახავთ მის ხსოვნას. ალბათ, ამიტომაც გავხდით საზოგადოება „როდინას“ წევრები. პირადად მე კლუბის მიერ მოწყობილ ყოველგვარ ღონისძიებაში ვმონაწილეობ. ქმარი სარევიზიო კომისიას თავმჯდომარეობს, ქალიშვილი — ირინე კი ბიბლიოთეკარია. მაგრამ მთავარი, რაც სამშობლოსთან გვაკავშირებს, მშობლიური რუსული ენაა.

ჩვენ კარგად გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია რუსული ენის ცოდნა და შენარჩუნება აქ, უცხო მხარეში, გერმანულად მოლაპარაკე ადამიანებს შორის. ამიტომ შინ, ოჯახში, რუსულად ვლაპარაკობთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა და ახლობლებმაც კი შეიგრძნონ ჩვენი მშობლიური სიტყვის მადლი. ჩემი შვილი — ვალოდია და მისი მეუღლე მონიკა კლუბში ესწრებიან რუსული ენის გაკვეთილებს. განსაკუთრებით გვახარებს ხუთი წლის შვილიშვილი, რომელიც ამას წინათ კლუბში გამოვიდა, დამსწრეთ მოუყვა რუსულ ზღაპარს და იმღერა „კატიუშა“. ვიმედოვნებ, რომ მეორე შვილიშვილიც რუსულად ატიტიკდება.

შარშან დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა დავინახეთ და დავრწმუნდით, როგორ სჭირდებათ ადამიანებს რუსული ენა. ჩვენი ქალიშვილი და ვაჟი თარჯიმნად მუშაობდნენ ვენის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონში და დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს ის ცხოველი ინტერესი, რასაც ხალხი იჩენდა საბჭოთა პავილიონისადმი.

შარშანვე წილად მხვდა ბედნიერება ვწვეოდი მშობლიურ მხარეს. წარმოშობით იალტიდან ვარ. იალტაში დიდხანს დავდიოდი მშობლიურ ადგილებში. ვიძებდი ბავშვობიდან ნაცნობ კუთხე-კუნჭულებს და ვეუღარებდი დღევანდელს, უსაზღვრო სიხარულის გრძნობით მევსებოდა გული, როცა ვხედავდი აყვავებულ და დამშვენებულ მშობლიურ იალტას — ჯანმრთელობის კერად საქვეყნოდ ცნობილ კურორტს.

ვესტუმრე ჩემს დას, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ყირიმის საბჭოთა მეურნეობა „კრასნიში“. გავიცანი ამ კურთხეულ კუთხეს.

ორი წლის წინათ კი ჩემმა ქალიშვილმა ირინემ იმოგზაურა აქ და ეხლაც ტკბილად იგონებს იქაურ შეხვედრებს ახალ მეგობრებთან.

და მე კვლავ ვფიქრობ: რა კარგია, ჩემმა შვილებმა მშობლიური რუსული ენა რომ იციან.

ძვირფასო მეგობრებო! გაუფრთხილდით მშობლიურ ენას, ნუ დაჩლუნგებთ თქვენს ოჯახში დედაენას!

ანა ელინეკი
ავსტრია

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

პირველი მატჩი

დადგა ფეხბურთის გულშემატკივართა ნანატრი დღეც — 7 აპრილს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში აღმოჩენთა საბჭოთა კავშირის 35-ე ჩემპიონატის ალამი.

ქართველ ფეხბურთელთა მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირის 1972 წლის ჩემპიონი ვოროშილოვგრადის „ზარია“.

კორესპონდენტებთან საუბარში თბილისელთა კაპიტანმა მურთაზ ხურცილავამ ჰირდაპირ განაცხადა — შარშან მოპოვებული მესამე ადგილი გუნდს აღარ აკმაყოფილებსო.

„ზარიას“ კაპიტანმა კი, როცა თავისი გუნდის გვარებზე ლაპარაკობდა, თქვა — ვიცნობობთ შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატება და... იქნებ ამ მატჩში მაინც დაირღვეს ტრადიცია და ერთხელ მაინც შეძლოთ თბილისელთა დამარცხება. დიახ, 1965 წლიდან, მას შემდეგ, რაც ვოროშილოვგრადის „ზარია“ უმაღლეს ლიგაში თამაშობს, მას ერთხელაც არ მოუგია თბილისის „დინამოსათვის“, თუმცა მის წინააღმდეგ თორმეტჯერ უთამაშია!

შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. სპილო მინდორის მიუხედავად (მატჩის დღეს თბილისში წვიმდა), მეტოქეები საკმაოდ ტექნიკურად თამაშობდნენ. მე-18 წუთზე დინამოელთა ნახევარმცველმა მანუჩარ მაჩაიძემ მოულოდნელი და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. გაშვებულმა ბურთმა ჩემპიონი როდი დააბნია. მათ კიდევ უფრო ენერგიულად შეუტიეს მასპინძელთა კარს. მოსალოდნელი იყო, რომ შეტევას თბილისელები შეტევითაც უპასუხებდნენ, მაგრამ „დინამომ“ რატომღაც თავდაცვაზე გადასვლა არჩია. სტუმართა მონდომებამ შედეგიც გამოიღო, მათ მარჯვედ გამოიყენეს ერთ-ერთი საჯარიმო დარტყმა და ანგარიშიც საჯაიმო (1:1) გახდა.


ამის შემდეგ თბილისელები ერთგვარად შეიცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მეტოქის დაცვა გაუვალი აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია (ამის შესახებ უკვე ვწერდით), წლეულს საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფრენდ არც ერთი მატჩი არ დამთავრებულა. თუ ძირითადი დრო გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, დაინიშნება ხუთ-ხუთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ვინც იმარჯვებს, ერთი ქულაც მას დაეწერება. დარტყმის დროს თბილისელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ, მათ მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაუტანეს, საკუთარში კი დავით გოგიას სამარჯვედ მხოლოდ ორი გაუშვეს. მატჩის საბოლოო შედეგია 5:3 „დინამოს“ სასარგებლოდ.

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპულ ჩემპიონატში, რომელიც ლოზანაში ჩატარდა ა. წ. 1 აპრილს, თავი ისახელა საქართველოს წარმომადგენელმა, მძიმე წონის მოჭიდავე ნოდარ მოდებაძემ. ქაროველმა ფალავანმა ყველა მეტოქე დაამარცხა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მიხეილ კონსტანტინეს ძე კალატოზოვი



სოციალისტურმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი კინორეჟისორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ კონსტანტინეს ძე კალატოზოვი.

მიხეილ კალატოზოვი დაიბადა 1903 წელს თბილისში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1917 წელს ზეინკლის შეგირდად. კინოში იგი კინომექანიკოსად მივიდა, შემდეგ მემონტაჟე და ასისტენტი გახდა.

მიხეილ კალატოზოვის, როგორც ოპერატორისა და რეჟისორის პირველმავე ნამუშევარმა — კინოსურათმა „სვანეთის მარილი“ — გამოავლინა მისი ტალანტის რომანტიკული მისწრაფება, ყურადღება ხალხის ცხოვრებისადმი, მშრომელი კაცისადმი.

მიხეილ კალატოზოვის შემოქმედების მთავარი თემა იყო ჩვენი თანამედროვეობა. მისი ხელოვნების მთავარი გმირია მამაცი, სოციალისტური სამშობლოს ერთგული ადამიანი. ესეთნი არიან მის მიერ დიდი სამამულო ომის წინ შექმნილი კინოსურათების „მამაცობისა“ და „ვალერი ჩკალოვის“ გმირები, ფილმებისა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ახალგაზრდობის იდეური რწმენისა და ზნეობრივი სიმტკიცის აღზრდაში.

მიხეილ კალატოზოვი იყო კინოწარმოების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი — თბილისის კინოფაბრიკის დირექტორი, მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს უფროსი და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილე.

დიდი სამამულო ომის წლებში იგი მოხალისედ მიდის საბჭოთა არმიის რიგებში.

ომის ამბებს, რომელიც იყო საბჭოთა ხალხის მორალური ძალების გამოცდა ფრონტზე და ზურგში, ეძღვნება ფილმი „მიფრინავენ წეროები“, რომელმაც მილიონობით მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა.

მიხეილ კალატოზოვის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს უბრალო ადამიანების სოლიდარობის, მსოფლიოს პროგრესული ძალების ისტორიული გამარჯვების გარდუვალობის თემას. ესეთია კინოსურათები: „განწირულთა შეთქმულება“, „მე — კუბა“, „წითელი კარავი“. მიხეილ კალატოზოვის მრავალმხრივი ნიჭი, მისი შემოქმედების დემოკრატიზმი გამოვლინდა მის ხალისიან მუსიკალურ კომედიაში „ერთგული მეგობრები“.

მიხეილ კალატოზოვი სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელია. მისი მრავალფეროვანი საზოგადო მოღვაწეობა ორგანულად გამოხატავდა ხელოვანი კომუნისტის მოქალაქეობრივ ტემპერამენტსა და შემოქმედებითს მისწრაფებებს. დიდი სულიერი მომხიბვლელობის, მაღალი პრინციპულობის, კოლეგებისადმი გულისხმიერი ადამიანი, იგი ყოველთვის სარგებლობდა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხელოვნების მუშაკთა შორის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს მიხეილ კალატოზოვის დამსახურება საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში. მას მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებანი, დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ბევრი მედლით.

სიკვდილმა მიხეილ კალატოზოვის გულისძგერა შეწყვიტა იმ დროს, როცა მუშაობდა ფილმზე, რომელიც ეძღვნება საბჭოთა მუშაკაცს, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. იგი ოცნებობდა, რომ ამ ფილმით შეასხამდა ხოტბას საბჭოთა, რომლის მგზნებარე პატრიოტად დარჩა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მიხეილ კონსტანტინეს ძე კალატოზოვის, პარტიის ერთგული შვილის, დიდი ხელოვანის, თავმდაბალი და კეთილი ადამიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს ხალხში.

დაგეძებენ, მოგელიან

ილია ვარლამის ძე ღოღობერიძეს,

დაბადებულს 1910 წელს ქალაქ ფოთში, ეძებენ შვილები — **ვარლამ (ვალიკო)** და **კოზეტა**, დები — **ბაბილინა, ანეტა, მარგალიტა ღოღობერიძეები**, მცხოვრებნი ფოთში, პუშკინის ქუჩა № 37.

სევერიან ივანეს ძე გოგალაძეს,

დაბადებულს 1912 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჯვარში, ეძებს შვილი — **ცირა გოგალაძე**, მცხოვრები თბილისში, ალილუევას ქუჩა № 13.

ზოსიმე იაკობის ძე ნოზაძეს,

დაბადებულს 1918 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჩონთოში, ეძებს დისწული — **ცირა გოგალაძე**, მცხოვრები თბილისში, ალილუევას ქუჩა № 13.

ვასილ (კოშუნა) თედორეს ძე ასკურავას,

დაბადებულს 1918 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვაბანში, ეძებენ დედა — **ლუდმილა**, და — **ნინო**, ძმები — **კოტა, გრიშა ასკურავები**, ძმისწული — **ავთანდილ ქაპანაძე**, მცხოვრებნი სოფელ ქვაბანში.

გიორგი კონსტანტინეს ძე ჯანიაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში, ეძებენ დედა — **ანა**, დები — **რუზანა, ფატმან ჯანიაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ბოდბეში.

ნიკა სოსოს ძე მეზვრიშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ყვარლის რაიონის სოფელ გრემში, ეძებენ დედა — **ნატალია**, და — **ეთერ**, ძმები — **შალვა** და **მიხეილ მეზვრიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ გრემში.

გრიგოლ (გრიშა) სევერიანეს ძე ეხვაიას,

დაბადებულს 1907 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში, ეძებენ და — **თამარ**, ძმისწულები — **ოტელო, ციური, ანზორ ეხვაიები**, მცხოვრებნი ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა № 1.

მიხა საჩინოს ძე ბრელიძეს,

დაბადებულს 1908 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში, ეძებენ მეუღლე — **თამარ**, შვილი — **ვაჟა**, რძალი — **იამზე**, შვილიშვილები — **ნონა, გია ბრელიძეები**, მცხოვრებნი ბათუმში, კიროვის ქუჩა № 17.

ლეონიდ (ლევან) იოსების ძე ხოფერიას,

დაბადებულს 1916 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურში, ეძებენ დედა — **ანა (ანიჩკა)**, და — **თამარ** შვილითურთ, ძმა — **სერგო ხოფერიები**, მცხოვრებნი ბათუმში, კიროვის ქუჩა № 17.

ვლადიმერ (ჰიჰიკო) ისმაილის ძე ჩხიკვაძეს,

დაბადებულს 1911 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში, ეძებენ დედა — **კალმენა**, მამა — **ისმაილი**, მეუღლე — **ნადია**, შვილები — **ნანული, ლიანა**, ძმები — **კოლია, გრიგოლ, დათიკო**, დები — **ანეტ, ბაბიკო, ვერა, დომნა ჩხიკვაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ჩხარში.

თედო გიგლას ძე ჩიტაშვილს,

დაბადებულს 1904 წელს ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთში, ეძებენ დედა — **ნუცა (ნინო)**, შამა — **გიგლა**, მეუღლე — **მარო**, შვილები — **ტასო, ზოია, გულო, გრიმენტი**, დები — **ევა, ბაბუცა, სირანა**, ძმა — **ბაგრატ ჩიტაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ იკოთში.

პავლე ვლადიმერის ძე როგაჭიძეს,

დაბადებულს 1906 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვიერში, ეძებენ მეუღლე — **ელენე**, შვილი — **მზია**, დები — **ნინა, ლუბა**, ძმები — **ივანე, იასონ, რაულ რობაქიძეები**, მცხოვრებნი ზესტაფონში, მარქსის ქუჩა № 2.

რედაქტორი
გივი კარგელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488